



21

საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის
აქტი

№ 24/00

„ 27 „ ივნისი 2011

ქ. თბილისი

“ ფ ა მ ტ კ ი ც ე ბ ”
სოციალური სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

გიორგი ალასანია

„ 27 „ ივნისი 2011 წელი

ეგზ. N2

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში 2010 წლის
სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ფინანსური და შესაბამისობის
აუდიტის ჩატარების შესახებ

სარჩევი

შესავალი, საქმიანობის მოკლე მიმოხილვა -----	3
ძირითადი ტექსტი -----	3
1. წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების შეტანის, აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების მდგომარეობა და კანონიერება -----	3
2. დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით -----	4
3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობა -----	8
4. გრანტების (ფულადი და სასაქონლო), ჰუმანიტარული დახმარებების და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემოსავლების მიღების, აღრიცხვის და გამოყენების მდგომარეობა -----	9
5. ფინანსური ანგარიშებისა და ანგარიშგების შედგენისა და წარდგენის კანონიერება-9	
6. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება (ზრდა/კლება) -----	10
7. დასკვნა -----	10
8. რეკომენდაცია -----	11
9. აუდიტის აქტის გასაჩივრების წესი და აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები -	11

შესავალი

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის საფუძველი: საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 31 დეკემბრის N196/42 ბრძანება „საქართველოს კონტროლის პალატის 2011 წლის აუდიტის გეგმის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2011 წლის 1 მარტის N23/43 და 22 მარტის N27/43 ბრძანებები;

აუდიტის ობიექტი: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო.
იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, სანაპიროს ქ. N4;

აუდიტის ჯგუფი: აუდიტორი გურამ სალუქვაძე (ჯგუფის ხელმძღვანელი) და უფროსი აუდიტორი ზურაბ შაყულაშვილი;

აუდიტის პერიოდი: 2010 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 1 იანვრამდე;

აუდიტის ვადა: 2011 წლის 2 მარტიდან 2011 წლის 2 აპრილამდე;

აუდიტის მეთოდი: წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი.

შემოკლებანი:

- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო - სამინისტრო;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - ფინანსთა სამინისტრო;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური - ხაზინა;
- საქართველოს პრეზიდენტი - პრეზიდენტი;
- საქართველოს მთავრობა - მთავრობა.

საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

სამინისტრო თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად. მასზე დაკისრებულ ფუნქციებს ასრულებს მთავრობის დადაგენილებით¹ დამტკიცებული დებულების საფუძველზე. სამინისტროს ძირითადი ამოცანებია: კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ერთიანი პოლიტიკის შემუშავება, დაგეგმვა და მისი რეალიზების კოორდინაცია.

ძირითადი ტექსტი

1.წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებულ ასიგნებებში ცვლილებების შეტანის, აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის გადანაწილების მდგომარეობა და კანონიერება

„საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სამინისტროსთვის დამტკიცებული თავდაპირველი ასიგნების მოცულობამ 81542.4 ათასი ლარი შეადგინა, მათ შორის საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტის ასიგნება - 27290.9 ათას ლარს შეადგენდა, რომელიც 2010 წლის 29 ივნისის N3153-რს კანონით გამოვიდა სამინისტროს დაქვემდებარებიდან და ჩამოყალიბდა ცალკე სამინისტროდ. საანალიზო პერიოდში, სამინისტროს ბიუჯეტი სამჯერ დაზუსტდა და საბოლოოდ „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე 2010 წლის 19 ნოემბრის №3831-რს საქართველოს კანონით, განისაზღვრა 57008.3 ათასი ლარით, მათ შორის საბიუჯეტო სახსრები - 56702.7 ათასი ლარი, ხოლო კრედიტები და გრანტები - 305.6 ათასი ლარი.

¹ 2004 წელი 27 მაისი N42 და 2010 16 ივლისი N197

საანალიზო წლის განმავლობაში საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და ორგანიზაციულ კოდებს შორის გადანაწილება განხორციელდა 7911.5 ათას ლარზე (92 შემთხვევა), აქედან დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების (სამ შემთხვევაში) შედეგად, ბიუჯეტში აისახა (დაკანონდა) - 6436.8 ათასი ლარი, ხოლო 1474.7 ათასი ლარით დაზუსტდა 2010 წლის 18 ნოემბრის N3831-რს კანონით მიღებული ბიუჯეტი.

დამტკიცებული ბიუჯეტის კლასიფიკაციის მუხლებსა და ორგანიზაციულ კოდებს შორის გადანაწილების 5-% იანი ზღვრული ოდენობა სამინისტროს მიერ დარღვეულია² 2010 წლის 18 ივნისის N3109-ის კანონის მიღებამდე, კერძოდ: ზღვრული ოდენობა 4077.1 ათას ლარს $(81542.4 - 5\% = 4077.1)$ შეადგენდა, ხოლო ფაქტობრივად განხორციელებული ცვლილებების საერთო თანხამ აღნიშნული კანონის მიღებამდე 4829.1 ათას ლარი (5.9%) შეადგინა.

2. დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა საბიუჯეტო კლასიფიკაციის ცალკეული მუხლების მიხედვით

სამინისტროს დამტკიცებული წლიური საბიუჯეტო ასიგნებების გეგმა (57008.3 ათ.ლარი), პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების გათვალისწინებით დაზუსტდა 67259.8 ათას ლარამდე.

2010 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი	2010 წლის 18 ივნისის ცვლილება	2010 წლის 2 ივლისის ცვლილება	2010 წლის 19 ნოემბრის ცვლილება	დამტკიცებუ ლი გეგმა ცვლილებების გათვალისწი ნებით	მთავრობის სა რეზერვო ფონდ- იდან გამოყოფილი ასიგნებები	პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებები	ათ.ლარი 2010 წლის დაზუსტე ბული გეგმა
81542.4	2671.5	-29236.4	2030.8	57008.3	613.0	9638.5	67259.8

ორგანიზაციის ბალანსისა³ და ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ფორმის⁴ თანახმად, სამინისტროს მიერ დაზუსტებული გეგმის ფარგლებში, ვალდებულება აღებულია 66679.9 ათას ლარზე (რესურსი - 579.9 ათასი ლარი), ანუ გეგმის 99.1%-ზე. საკასო ხარჯმა 66586.1 ათასი ლარი (გეგმის 99%) შეადგინა. ფაქტობრივი ხარჯი გაიწია 57640.7 ათასი ლარის ოდენობით (საკასო ხარჯის-86.6%), რაც საკასო ხარჯთან შედარებით 8945.4 ათასი ლარით ნაკლებია (მათ შორის: არაფინანსური აქტივები-7702.5, ვალდებულებები-1.3). წლიურ ნაერთ ბალანსთან დართული ახსნა-განმარტებითი

² საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი- მუხლი N31, პუნქტი N2.

³ დანართები N2, N2-1, N2-2.

⁴ E14

ბარათის თანახმად, სხვაობა საკასო და ფაქტობრივ ხარჯებს შორის გამოწვეულია თანხების წინასწარი გადახდებით.

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით ხარჯები გაწეულ იქნა შემდეგი ოდენობით:

ათ.ლარი						
საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლები	დაზუსტებული გეგმა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა (4-3)	შესრულება % (3/2)	შესრულება % (4/2)
1	2	3	4	5	6	7
1. ხარჯები	59333.9	58882.3	57640.7	1241.6	99.2	97.1
შრომის ანაზღაურება	3709.4	3709.2	3709.2	0	100.0	100.0
საქონელი და მომსახურება	14703.9	14368.9	13573.0	-795.9	97.7	92.3
სუბსიდიები	35443.3	35349.8	35232.8	-117.0	99.7	99.4
სივალური უზრუნველყოფა	132.4	129.4	129.4	0	97.7	97.7
სხვა ხარჯები	5344.9	5325.0	4996.3	-328.7	99.6	93.5
2. არაფინანსური აქტივები	7924.7	7702.5			97.2	
3. ვალდებულებები	1.3	1.3			100.0	
სულ:	67259.9	66586.1	57640.7			

წარმოდგენილი ცნობისა და ბალანსის შესაბამისი ფორმების თანახმად, სამინისტროს 2010 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით ერიცხებოდა 6093.6 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება, ხოლო 2011 წლის პირველი იანვრისათვის 5829.9 ათასი ლარი. მიუხედავად დებიტორული დავალიანების შემცირებისა (263.7 ათასი ლარი), ადგილი აქვს გარკვეული ორგანიზაციების (პროგრამების) მიხედვით დებიტორული დავალიანებების ზრდას, კერძოდ (გადახრა - 5000 ლარზე მეტი):

დასახელება	დებიტორი		გადახრა
	01.01.10	01.01.11	
სსიპ თბილისის აღ. გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრი	18555	26949	8394
სსიპ ქ. თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრი	37137	50647	13510
სსიპ ილიკო სუხიშვილის და ნინო რამიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის სახელმწიფო აკადემიური დასი	3622	39875	36253
სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი	59176	454426	395250
სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	120678	135724	15046
სსიპ გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების, ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრი	5599	11757	6158
სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო	12692	417359	404667

საქართველოს კონტროლის პალატა

სსიპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ქ. რუსთავის სამუსიკო სასწავლებელი	0	5037	5037
სამინისტროს პროგრამები	2536805	3334558	797753
სსიპ "ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი"	0	52009	52009

2011 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სამინისტროზე რიცხული კრედიტორული დავალიანებანი 5413.5 ათას ლარს შეადგენდა, რაც 2010 წლის 1 იანვრის მონაცემებთან (5345.8 ათასი ლარი) შედარებით საერთო ჯამში 67.7 ათასი ლარითაა გაზრდილი, მათ შორის ორგანიზაციების მიხედვით (გადახრა - 5000 ლარზე მეტი):

დასახელება	რედიტორი		გადახრა
	01.01.10	01.01.11	
სსიპ თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური სახელმწიფო დრამატული თეატრი	5388	13858	8470
სსიპ თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრი	642501	1070663	428162
სსიპ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის აკადემიური ანსამბლი „ერისიონი“	121095	131548	10453
სსიპ ილიკო სუხიშვილის და ნინო რამიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის სახელმწიფო აკადემიური დასი	201760	301257	99497
სსიპ თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრი	235667	242540	6873
სსიპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ვეგენი მიქელაძის სახელობის თბილისის №2 ცენტრალური სამუსიკო სასწავლებელი	12798	25258	12460
სსიპ ქუთაისის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი	2266	8260	5994
სსიპ ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო თეატრი	0	10381	10381
სსიპ "ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი"	2836	9232	6396

სამინისტროზე რიცხული დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების წარმოშობის თარიღებისა და ხარჯების კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით მონაცემები წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

კლასიფიკაციის მუხლები	2011 წლის 1 იანვრისთვის რიცხული დებიტორული დავალიანება	1997-2000 წ	2002 წ	2003 წ	2004 წ	2005 წ	2006 წ	2007 წ	2008 წ	2009 წ	2010 წ
სულ	5829886	19160	15031	6766	133852	55128	16599	129255	33870	862890	4557335
შრომის ანაზღაურება (გადასახდელი)	73	0	0	0	0	0	0	0	0	57	16
ბიუჯეტის ვალდებულებები ორგანიზაციის წინაშე	400866	0	0	0	1751	0	0	29051	700	192441	176923

24

საქართველოს კონტროლის პალატა

საქონელი და მომსახურება	3910836	19160	15031	3401	132101	55128	16599	40804	25220	216610	3386782
სხვა დავალიანებები	655063	0	0	3365	0	0	0	0	0	37133	614565
არაფინანსური აქტივების შეძენა	863048	0	0	0	0	0	0	59400	7950	416649	379049

კლასიფიკაციის მუხლები	2011 წლის 1 იანვრისთვის რიცხული კრედიტორული დავალიანება	1997-2000 წ	2001 წ	2002 წ	2003 წ	2004 წ	2005 წ	2006 წ	2007 წ	2008 წ	2009 წ	2010 წ
სულ	5413448	2407160	34906	27421	76680	109798	58423	69387	526280	76881	398960	1627552
შრომის ანაზღაურება (გადასახდელი)	1232731	997771	13664	15174	13416	4908	13209	2650	76218	5355	11822	78544
ბიუჯეტის ვალდებულებები ორგანიზაციის წინაშე	926336	517281	926	170	8739	13474	6968	14222	24352	21399	25344	293461
საქონელი და მომსახურება	2813737	778998	20316	12039	45525	91416	14193	24753	363261	19739	341831	1101666
სხვა დავალიანებები	327396	22394	0	38	9000	0	3853	27762	62449	30388	19963	151549
არაფინანსური აქტივების შეძენა	113248	90716	0	0	0	0	20200	0	0	0	0	2332

საანალიზო პერიოდში ადგილი ჰქონდა (სამინისტროს განხორციელებად პროგრამებში) ზოგიერთ წინასწარ გადახდებზე დამოწმების დოკუმენტების წარუდგენლობის შემთხვევებს, საერთო ჯამში - 221.8 ათას ლარზე, მათ შორის:

N	პროგრამის დასახელება	კოდი	ორგანიზაციის დასახელება	თანხა	გადახდის თარიღი	სააგანსო ვადა	დამოწმების ვადა
1	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის პროგრამა	428	ფ/პ გიორგი წიკლაური	476.54	11/24/2010	30	12/24/2010
2	სახვითი ხელოვნების გლობალური კოორდინირების ცენტრი	1608	ააიპ კულტურის და ხელოვნების გლობალური კოორდინირების ცენტრი	17600	10/29/2010	30	11/28/2010
3	საერთაშორისო კულტურული ურთიერთობის მხარდაჭერის ღონისძიებები	4014	შპს სიესტა	3736.96	7/19/2010	90	10/17/2010

4	საქართველოს საერთაშორისო კულტურული პრეზენტაციის პროგრამა ქართული სეზონი	1160	სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებელი	200000	8/26/2010	125	12/29/2010
სულ ჯამი				221813.5			

3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობა

საანალიზო წლის განმავლობაში პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან სათანადო განკარგულებების (50) საფუძველზე, სამინისტროს გამოეყო 9834.6 ათასი ლარი სხვადასხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად, რაზეც გაიწია 9590.1 ათასი ლარის საკასო ხარჯი (97.5%).

მთავრობის სარეზერვო ფონდიდან შესაბამისი განკარგულებების (4) საფუძველზე სამინისტროს სხვადასხვა მიზნით გამოეყო 682.9 ათასი ლარის სახსრები, საიდანაც საკასო ხარჯი გაწეულ იქნა 612.2 ათასი ლარის ოდენობით (89.6%).

სულ ორივე ფონდის ფარგლებში აუთვისებელმა თანხამ 315.2 ათასი ლარი შეადგინა, საიდანაც სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნებულ იქნა 265.9 ათასი ლარი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან⁵ გამოყოფილი 4698.1 ათასი ლარიდან (2500.0 ათასი აშშ დოლარი), განკარგულებით გათვალისწინებული ღონისძიების ჩაშლის გამო, შესაბამისი განკარგულებით 1641.1 ათასი ლარი მიმართული იქნა სხვა ღონისძიებაზე, საიდანაც აუთვისებელი 156.3 ათასი დაბრუნებულია ბიუჯეტში.

სამინისტროს, საკუთარი ფინანსური რესურსების არსებობის პირობებში თანხები მოთხოვნილი აქვს საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან, კერძოდ: პრეზიდენტის განკარგულებით (7) სამინისტროს პროგრამა „ქართული სეზონის“ ღონისძიებების დასაფინანსებლად მიღებული აქვს 1099.5 ათასი ლარი. საანალიზო პერიოდში კი ამავე პროგრამიდან ასიგნებები ცვლილებების შედეგად შემცირებულია 1380.8 ათასი ლარით და გადატანილია სხვადასხვა ორგანიზაციულ კოდეზში. ასევე, პრეზიდენტის ფონდიდან, სამინისტროს განხორციელებად „ქართული პროფესიული მუსიკალური ხელოვნების განვითარების პროგრამის“ ფარგლებში დამატებით გამოყოფილია 131.2 ათასი ლარი, მაშინ როდესაც აღნიშნული პროგრამის ასიგნება წლის

⁵ განკარგულება N703 07.06.2010

⁶ აისახა 19.11.2010. N3831-რს კანონში

განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად შემცირებულია 226.3 ათასი ლარით.

4. გრანტების (ფულადი და სასაქონლო), ჰუმანიტარული დახმარებების და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემოსავლების მიღების, აღრიცხვის და გამოყენების მდგომარეობა

„საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების⁷ შედეგად, სამინისტროს დაუმტკიცდა 305.6 ათასი ლარის გრანტი, რომელიც გაწერილია სხვადასხვა ორგანიზაციული კოდის მიხედვით. საკასო ხარჯმა 271.1 ათასი ლარი შეადგინა, ანუ 34.5 ათასი ლარით ნაკლები.

გარდა ამისა, წარმოდგენილი ინფორმაციით, სამინისტროს სხვადასხვა სსიპ-ებს, ბიუჯეტის კანონში ასახვის (დამტკიცების) გარეშე, როგორც ფულადი, ასევე სასაქონლო ფასეულობების სახით მიღებული აქვთ 408.9 ათასი ლარის გრანტი, რაც ბალანსის მონაცემებთან⁸ (401.9 ათასი ლარი) შედარებით 7.0 ათასი ლარით მეტია. გაწეული ხარჯი 354.0 ათას ლარს შეადგენს.

სამინისტროს კონტროლის ქვეშ არსებულ 66 საჯარო სამართლის იურიდიულ პირს 2010 წლის განმავლობაში საკუთარი შემოსავლების (სხვა შემოსავლები) სახით მიღებული აქვს - 13134.9 ათასი ლარი.

5. ფინანსური ანგარიშებისა და ანგარიშგების შედგენისა და წარდგენის კანონიერება

სამინისტროს 2010 წლის კონსოლიდირებული ბალანსი შედგენილია ფინანსთა სამინისტროს ბრძანებებით⁹ დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და „სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნათა დაცვით.

სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ და მოქმედ 76 სსიპ -დან 31-ს არ აქვს წარდგენილი 2010 წლიურ ბალანსზე აუდიტორული დასკვნა.¹⁰

⁷ 2010 წლის 19 ნოემბრის N3831-რს

⁸ დანართის N3

⁹ 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 და 2008 წლის 16 აპრილის N364.

¹⁰ 1999 წლის 28 მაისის N2052-II სსიპ კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ მუხლი N14, პუნქტი მეორე.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით¹¹ განსაზღვრული და სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ-ების 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ნაერთი წლიური ანგარიში ფინანსთა სამინისტროში წარდგენილია თავისდროულად.

6. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება (ზრდა/კლება)

სამინისტროს ნაერთი ბალანსის დანართების (ფორმა N2-1) თანახმად, ორგანიზაციის არაფინანსური აქტივები 7702.5 ათასი ლარითაა გაზრდილი, ხოლო ფინანსური ვალდებულებები (ფორმა N2-2) საკუთარი საბიუჯეტო ასიგნებიდან შემცირებულია 1.3 ათასი ლარით.

7. დასკვნა

- სამინისტროს მიერ წლიური ბიუჯეტის ფორმირებისას სრულყოფილად არ განისაზღვრება გეგმიური ხარჯებისა და ჩასატარებელი ღონისძიებებისათვის საჭირო ასიგნებების ოდენობა, რის შედეგადაც ადგილი აქვს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და ორგანიზაციული კოდებს შორის ხშირ გადანაწილებას, მათ შორის წლის პირველ ნახევარში 5% -იანი ზღვრული ოდენობის გადაჭარბების შემთხვევას;

- სამინისტრომ საკუთარი ფინანსური რესურსების პირობებში, სხვადასხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად თანხები მოითხოვა და მიიღო პრეზიდენტის ფონდიდან;

- ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი აქვს წინასწარ გადახდებზე დამოწმების დოკუმენტების წარუდგენლობის შემთხვევებს, შედეგად დებიტორული დავალიანებების შესამცირებლად სამინისტროს ქმედება არაეფექტურია;

- სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ 31 სსიპ-ს წლიური ბალანსზე არ წარმოდგენია აუდიტორული დასკვნა.

8. რეკომენდაცია

- სამინისტრომ წლიური ბიუჯეტის პროექტის ფორმირებისას მაქსიმალური სიზუსტით გაითვალისწინოს გეგმიური ხარჯებისათვის საჭირო ასიგნებების ოდენობა;

- მოსალოდნელი ცვლილებების დაგეგმვის პროცესში, განახორციელოს ოპტიმალური გათვლა სხვადასხვა ორგანიზაციულ კოდში გათვალისწინებული ხარჯების კორექტირების მიზანშეწონილობაზე;

¹¹ 2010 წლის 10 მარტის N68 დადგენილება -ზოგიერთი სსიპ-ის ნუსხის განსაზღვრის შესახებ.

- გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები დებიტორული დავალიანებების (განსაკუთრებით წინა წლებში წარმოქმნილი) შესამცირებლად;
- ვალდებულებები აიღოს ბიუჯეტიდან მიღებული ასიგნებებისა და საკუთარი შემოსავლების ფარგლებში და არ დაუშვას კრედიტორული დავალიანებების ზრდა;
- თავისდროულად წარადგინოს წინასწარ გადახდებზე დამოწმების დოკუმენტები.

9. აუდიტის აქტის გასაჩივრების წესი

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აუდიტის ობიექტი უფლებამოსილია აუდიტის აქტი მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში გაასაჩივროს მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატის დავების განმხილველ საბჭოში, ქ.თბილისი ქეთევან წამებულის გამზირი №96.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საქართველოს კონტროლის პალატის

აუდიტორი

გურამ სალუქვაძე

 27.06.2011.

ხელმოწერა თარიღი

უფროსი აუდიტორი

ზურაბ შაყულაშვილი

 27.06.11.

ხელმოწერა თარიღი